რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 19 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 14 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 14

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

ყოველ დღიურ გაზეთებზე

„ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ზნამია პრავდი“-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე“ ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით — 12 მან., ერთი თვით — 2 მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოდ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

## ლ ე ნ ი ნ ი.

ეს ოთხი დღეა, კონტრრევოლუციონური კავკასია ხარობს და ზეიმობს მის მიერვე შეთხზულ ჭორებს. მეტად ცხოველია სურვილი და ნატვრა, რომ ეს ჭორები სინამდვილედ იქცეს, რათა, განერვიანებული ლოდინის შემდეგ შეიქნეს უსაზღვრო სიხარული და ზეიმი დიდი ხნის სანუკვარი ... დადასტურების საფუძველზე. შეკითხვა შეკითხვაზე მიდის როსტოვში და ნოვოჩერკასკში, ნოვოჩერკასკში და როსტოვში და ამ კალედინის დროებით სატახტოებს ყველგან ...ით ემუდარებიან: დაგვიდასტურეთ ცნობა ლენინის მოკვლის შესახებ, აივსეთ შადლით და დანამდვილებულად ... ცნობეთ ეს ამბავი.

ლენინის მოკვლა! ამაზე უკეთესი საჩუქარი რა იქნება კონტრრევოლუციონური კავკასიისთვის, რომელსაც ჩრდილოეთიდან მოადგა სახელგანთქმული ლენინის უძლეველი ჯარი, და ... მძლავრი მეხრუჭებით სულს ალაფვინებს კორნილოვ-კალედინის და სხვა ავაზაკების თავში. ძვირფასი საჩუქარია, რადგან ლენინი სიმბოლო და დროშაა რევოლუციის, სული და გულია მოძრაობის, ის განხორციელებული რევოლუციაა.

ივლისში მის სულიერათ სიკვდილს შეეცადენ, ის გერმანიის აგენტათ და პროვოკატორათ გამოაცხადეს. ხალხმა ზიზღით გადისროლა ეს ბინძური ბრალდება სალახანებისა, რომელსაც ერთნაირი თავდაუზოგველობით იმეორებდა ყველა ხალხის მტერი და მოღალატე, კადეტებიდან დაწყებული მენშევიკამდე. ხალხი უფრო მეტი თავგანწირულებით შემოკრბა ლენინის გარშემო და შეიყვარა იგი, როგორც თავისი ღვიძლი შვილი.

იანვარში მის ფიზიკურათ მოკვლას, ცდილობდენ თვით სულთ მიბრძავი კონტრრევოლუციონერები და ამით ... იმედოვნებდენ თავი მოეჭრათ რევოლუციონურ მოძრაობა, მოეკლათ თვით ხალხი, მათ ახლა უფრო, ვიდრე როდისმე, შლებათ ანგარიში.

ხალხს უყვარს ლენინი, რადგან მასში ხედავს თავის უდრეკ ნებისყოფის განსახიერებას, თავდადებულ ბრძოლას უკეთესი მომავლისთვის, ყოველგვარ რყევა-ორჭოფობას მოკლებულ, შეურიგებელ მოქმედებას მტრების წინააღმდეგ. მასში ხედავს ის თავის ზრახვის, ფიქრის და გრძნობის უტყუარ გამომხატველს. ლენინი ხალხის შვილია, რომელიც სრულიად თავისუფალია ინტელიგენტური განკერძოებიდან, ის თვით ჭაბუკი ხალხის თავისი ფოლადისებური ხასიათის სიმტკიცით, დაუღალავი მხნეობით და იდეალისთვის თავგანწირვით. დიადმა რევოლუციამ შექმნა ეს დიადი კაცი და თავისი დროშა მას ჩააბარა. ხალხს უყვარს ეს დროშა, ხალხს უყვარს ლენინი.

ლენინის დაკარგვა უდიდესი დანაკარგი იქნებოდა რევოლუციისთვის, აუნაზღაურებელი დანაკარგი იქნებოდა ჩვენი პარტიისთვის. რევოლუცია ახლა აღწევს თავის უმაღლეს წერტილს, ჩვენი პარტია ახლა უდგება მეტათ საპასუხისმგებლო მოქმედებას. ლენინსაც სწორეთ ახლა უდგება დრო მძლავრათ გაშალოს ფრთები და გაუწიოს კაცობრიობას ის სამსახური, რაც პიროვნებისგან შესაძლებელია.

მაგრამ ჩვენ არა ვართ ჩვეულნი სანტიმენტალობას და უშიშრათ შევხედავთ სინამდვილეს, რა გინდ შემზარავი იყოს იგი. ჩვენი პარტია ძლიერია ლენინით, მაგრამ თვით ლენინი ძლიერია ჩვენი პარტიით. პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა უკვე ფეხზე სდგას და მზათ არის ათასობით შეავსოს ყოველი გამოკლებული მებრძოლის დაცარიელებული ადგილი. ლენინის სიკვდილი შეუძლებელია, რადგან რევოლუცია და უძლეველია.

კიდეც რომ გამოგვტაცონ ლენინი, მყისვე აღიმართება ათასი ხელი იმ დროშის განსამტკიცებლათ, რომელიც მას ასე სახელოვანათ უჭირავს. ჩვენს მტკიცე რაზმებს ძვრასაც ვერ უზამს ვერც კონტრ-რევოლუციონერთა თავზე ხელაღებული ტერორი და ვერც მათ მომაკვდავთა სასიკვდილო ხრიალი.

რევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია, თუნდ კიდეც გამართლდეს მტრების ბოროტი ხარხარი, რომელიც დაჟინებით იმეორებს მათთვის სანატრელ სიტყვებს: „ლენინი მოკლეს“, ჩვენ წარმშეუხრელათ ვუპასუხებთ:

გაუმარჯოს ლენინს!

გაუმარჯოს ბოლშევიზმს!

## უკანასკნელი ცნობები.

გუშინ მიღებულ ცნობებით, საბჭოთა მთავრობის ჯარმა როსტოვი დაიკავა. კალედინი სასტიკათ დამარცხდა. უნდოდათ მისი შეპყრობა, მაგრამ გაქცევა მოასწრო. სამაგიეროთ მისი თანაშემწეები ასობით დაატყვევეს.

ცნობა მოვიდა, რომ ქ. ადესა საბჭოთა მთავრობის ჯარმა დაიკავა და იქ საბჭოთა დროშა აამართეს.

ხმები ლენინის მოკვლის შესახებ განზრახ მოგონილი სიცრუე გამოდგა.

## ამიერკავკასიის კომისარიატი თუ სახალხო კომისარების საბჭო?

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში მენშევიკ-ესერებმა ყურები გამოგვიჭედეს ძახილით: ოქტომბრის გამოსვლა არ არის რევოლუცია, ეს ანარქო ბლანკისტური შეთქმულებაა, მას არ აქვს არავითარი ნიადაგი პროლეტარიატში და გლეხობის ფართო მასაში და თუ ლენინ-ტროცკებმა დროებით გაიმარჯვეს, ეს მხოლოდ ბნელ შეუგნებელ ჯარისკაცთა ხიშტებითო. ეს უბადრუკი პოლიტიკოსები წინასწარმეტყველობასაც კი იჩემობდენ: მათი დამარცხება ორი-სამი კვირის საქმეაო. ისინი მოუთმენლათ ელოდენ იმ მათთვის ბედნიერ დღეს, როდესაც ბურჟუაზია სისხლის მორევში ჩაახრჩობდა პროლეტარიატს და ამით მკვდარ ტაქტიკას კვლავ სიცოცხლის სულს შთაბერავდა. პროლეტარიატის საბედნიეროთ მათი იმედები არ გაამართლა ცხოვრების სინამდვილემ. მუშების და გლეხების მთავრობა დღითი-დღე ძლიერდება, ის თანდათან მეტ გავლენას პოულობს მშრომელ მასაში და უკვე შორს აღარ არის ის სანეტარო დღე, როდესაც წმინდა იდეა პროლეტარიატის დიქტატურისა სამუდამოთ განმტკიცდება „კავკასიდგან ვიდრე ვოლგამდე და დნეპრის წყლიდგან შავი ზღვისკენ“.

რა გზას უნდა დავადგეთ კერძოთ ჩვენ, კავკასიის მუშები? ნუთუ ჩვენ, პროლეტარიატის ბრძოლას რუსეთში გულ-ხელ დაკრეფილი უნდა ვუცქიროთ? მაგრამ ეს ხომ ღალატი იქნებოდა არა თუ რუსეთელ ამხანაგების, არამედ მთელი ინტერნაციონალის. მარქსის დიდებულ ლოზუნგს ჩვენ უნდა ვიცავდეთ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით. დადგა დრო, როდესაც ზურგი უნდა ვაქციოთ დრო-მოჭმულ ტრადიციებს, დროა ექვის თვალით შევხედოთ კავკასიის დემოკრატიის მეთაურთა უცოდველობას, მათ ყოვლის მცოდნეობას და „ადრეა, ადრე“-ს ძახილს. მუშათა განთავისუფლება ხომ თვით მუშათა საქმეა. დღეს ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს თავის მოსისხლე მტრებთან. გამარჯვებული ამ დიად ბრძოლაში ზიზღით შეგვხედავს ჩვენ, სასიკვდილოთ დაჭრილი უკანასკნელ წყევა-კრულვას გვიძღვნის... ჩვენ ვერ გავყვებით ლაჩრულ-მონურ ლოზუნგს: „ქვავ, ნუ აგორდები, თუ აგორდე, მე ნუ მეცემიო“.

მენშევიკების „ერთობა“ ცდილობს (რასაკვირველია, მრავალი სიტყვებით) აღადგინოს კავშირი ევროპის პროლეტარიატთან და ეს მაშინ, როდესაც მენშევიკებს არ სურთ იქონიონ რაიმე საერთო რუსეთის „ჩამორჩენილ“ ამხანაგებთან და მათ ორგანო მუშათა და გლეხთა მთავრობასთან! თუ მათ საჭიროთ მიაჩნდათ გუჩკოვ-კერენსკის კონტრრევოლუციონურ მთავრობის მხარის დაჭერა, რატომ დღეს პილატესავით ხელს იბანენ და მუშათა რევოლუციონურ ფრონტის გარღვევას ხელს უწყობენ! რა უფლება აქვთ ამ ვითომც და სოციალისტებს ევროპის პროლეტარიატთან კავშირის აღდგენის საჭიროებაზე ილაპარაკონ, როდესაც მათ მუხანათურათ ზურგი შეაქციეს რუსეთის პროლეტარიატს და მისი ინტერესების ჭეშმარიტ გამომხატველ სახალხო კომისარების საბჭოს? ობორონცები ცოფმორეული ყვიროდენ: არიქათ. გვიშველეთ, ვინ ხარ მადლიანი, ბოლშევიკებმა გაყიდეს რუსეთი, ისინი სეპერატიულ ზავის ჩამოგდებას აპირებენო.

როდესაც სიტყვით საქმეზე გადავიდენ მათ ჩამოაგდეს ოსმალეთთან დროებითი

ზავი არა თუ „მოკავშირეების“ სურვილის წინააღმდეგ, არამედ რუსეთის მუშების და გლეხების დაუკითხავათაც-კი.

მაგათი პოლიტიკის წყალობით კავკასიის ფრონტი ჯარმა მიატოვა, სოფლებში და ქალაქებში თავი წამოყვეს კონტრ-რევოლუციონერებმა, სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტებმა და თავისებური საქმიანობით მიჰყვეს ხელი დაკარგული ბატონობის აღდგენას. მშრომელ ხალხის წინ აღიმართა საზარელი აჩრდილი შიმშილისა.

რა უნდა ვილონოთ, რომ განსაცდელს თავი დავაღწიოთ? არის ორი საკითხი, რომელსაც დაუყოვნებლივ სჭირია გათაწყვეტა. ეს არის ოსმალეთთან ზავის და პეტროგრადის მუშათა და გლეხთა მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხი.

როგორც გაზეთებიდან ვიცით, ოსმალეთის მთავრობამ ,,დამოუკიდებელ კავკასიის მთავრობას“ შეეკითხა; სურს თუ არა მას გამართოს მოლაპარაკება დაუყონებლივ ზავის ჩამოსაგდებათ? თუმცა კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ცენტრმა უარყო ოსმალთა წინადადება იმ მოსაზრებით, რომ ამიერ კავკასია არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. თუ ამიერკავკასია არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაშ სად არის ის ცენტრი, რომელსაც კომისარიატი ექვემდებარება და რომლის დირექტივებითაც ის უნდა ხელმძღვანელობდეს? რუსეთში არის ერთად ერთი მთავრობა, სახალხო კომისარების საბჭო რომელსაც (და მხოლოთ მას) აქვს სრული უფლება ილაპარაკოს მთელი რუსეთის დაჩაგრულ მშრომელ ხალხის სახელით. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ჩვენ მენშევიკებს (სახეში მყავს მენშევიკები, რადგან კომისარიატი მათი ქმნილებაა) სახალხო კომისარების სახელის ხსენებაზე გული უსუსტდებათ, სასოებით პირჯვარს იწერენ და ხმა ჩაწყვეტილნი სამ გზით გაიძახიან: „ვიჯმნი ეშმაკისაგანო“.

თქვენ ხომ რეალური პოლიტიკოსები ხართ, ბ-ნნო მენშევიკებო? უწევთ თუ არა თქვენ ანგარიშს პოლიტიკურ ძალების სიტუაციას, ობიექტიურ პირობებს! თქვენ ხშირათ ხმარობთ ბებელის აფორიზმს: თუ პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვენ, ჩვენ ეშმაკს და მის ბებიასაც დავუკავშირდებითო! დღეს კი, როდესაც მუშათა და გლეხთა მთავრობამ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან ზავზე მოლაპარაკება დაიწყო, იმის მაგივრათ, რომ მისთვის მხარი დაგეჭირათ, უარყავით ის და მით ზურგი გაუმაგრეთ კალედინ—კორნილოვებს, ძალა შემატეთ ანტი—დემოკრატიულ ზავის მოტრფიალე გოფმან—კიულმან—ჩერნინებს.

რას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის კომისარიატი? აქვს მას რაიმე გავლენა მშრომელ მასაში? ის ფიქციაა, უშნო პაროდია აწ განსვენებულ კერენსკის კოალიციურ სამინისტროსი, ეს მისი მახინჯი შვილია. შეუძლია მას, ამხანაგებო, მოგვცეს პური, მიწა და თავისუფლება? სურს მას გაატაროს ცხოვრებაში „ჩაგრულ მშრომელთა ხალხის დეკლარაცია“? არა, ეს მას არ შეუძლია, ეს მას არც სურს. სულ სხვაა მისი მიზანი.

პროლეტარიატის და გლეხობის ძველ „დარჯაკში“ ჩაყენება, ხოლო ბურჟუაზიის პოლიტიკურათ და ეკონომიურათ გაბატონება, აი მისი მიზანი.

რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენ? ნუთუ ჩვენვე ხელით უნდა მოვჭრათ ის შტო, რომელზედაც თვითონ ვზივართ? ძვირფასო ამხანაგებო! სანამ ჩვენ ხელშია ძალა, მედგრათ დავსცეთ მტრის გულის გამგმირავი ყიჟინა: ძირს ობორონცულ—კოალიციონურ—კონტრ-რევოლიუციონური კომისარიატი! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას!

სხვა გზა არ არის.

**კოლია ებრალიძე.**

# დ ე პ ე შ ე ბ ი.

**პეტროგრადი.** (დაგვიანებული) 7 იანვარი. 6 იანვარს ამხ. სვერდლოვის თავმჯდომარეობით შესდგა რუსეთის მუშათა და სალდათთა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სახალხო კომისარების წინადადებით კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში პირველი კითხვა შეეხებოდა დამფუძნებელი კრების გარეკას. საბჭოთა მთავრობის წინადადებას კრება ტაშის ცემით შეხვდა. კომისართა საბჭომ 5 იანვრის მომხდარ ამბების გამოსარკვევათ საგამომძიებლო კომისია დანიშნა.

იმ წინასწარ კრებაზე, რომელსაც დამფუძნებელი კრების გარეკის საკითხი უნდა გადაეჭრა, დიდი პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა ლენინმა, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: ამხანაგებო საბჭოთა მთავრობასა და დამფუძნებელ კრების შორის მომხდარი შეტაკება რუსეთის რევოლიუციის მთელი ისტორიით არის ჰომზადებული, იმ რევოლიუციის, რომელიც ჯერ არ გაგონილ ჰიზნის, საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნის წინაშე სდგას.

1905 წელმა აშკარა ჰყო, რომ თვით მპყრობელობა რუსეთში სულსა ლევს. მხოლოთ რუსეთის სოფლის უკან ჩამორჩენილობით მოუხერხდა მას როგორღაც სიკვდილიდგან მაშინ თავი გადაერჩინა.

1917 წლის რევოლიუციას კი წინ უძღოდა ის მოვლენა, რომ ერთი მხრით ბურჟუაზიულ იმპერიალისტური პარტია, საქმეთა მსვლელობის ძალით, გადაიქცა რესპუბლიკანურ პარტიათ, ხოლო მეორე მხრით აღორძინდა დემოკრატიული ორგანიზაცია—საბჭოთა, რომლის ჩანასახი ჯერ ისევ 1905 წელში გამოჩნდა, როცა მასში თითქმის ყველა სოციალისტებმა ერთხმათ აღიარეს, რომ საბჭოთა ორგანიზაციის სახით რევოლიუციათა ისტორიაში რაღაც დიადი რამ მოვლენა წარმოიშვა...

**როსტოვი.** 16 იანვარი. ხარკოვთან დიდი ბრძოლაა გამართული საბჭოთა მთავრობის ჯარებსა და რადის ლაშქარს შორის. შედეგი ჯერ არ იციან.

**დონის კონტრ-რევოლიუცია მარცხდება.**

ბობრუისკიდან ბათუმში მიიღეს რადიო-ტელეგრამა, რომელიც გვატყობინებს, რომ სტანიცა კამენსკაიაში შესდგა ფრონტის და მშრომელ ყაზახთა დელეგატების სიეზდი, რომელმაც დაადგინა: მიიღოს ზომები კალედინის მთავრობის გასარეკათ.

სიეზდმა აირჩია რევოლიუციონური მთავრობა და გაგზავნა საკუთარი ლაშქარი, რომელმაც ბრძოლით დაიკავა სადგური „ზვერევო“. კაზაკებმა კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის მომხრეთაგან ყაზახთა ჯარის 18 უფროსი დაატყვევეს. გაგზავნეს მთელი პოლკი კალედინის შესაპყრობათ, მაგრამ მან გაქცევა მოასწრო. ზემო აღნიშნულ რადიო-ტელეგრამის გადმოცემით დონის რევოლიუციონურ წრეებში აუწერელი აღფრთოვანებაა. ახლა ყველას სწამს, რომ მალე მუშათა, გლეხთა და მშრომელ ყაზახთა რევოლიუციონური მთავრობა დონზედაც სრულიათ გაიმარჯვებს. ეს დეპეშა გუშინ მოუვიდა კავკასიის ჯარის ობორონცულ ცენტრის თავმჯდომარის ამხანაგს, მაკაროვსკის.

## რუმინია და რუსეთი.

16 იანვარს თფილისში შემდეგი რადიო ტელეგრამა მოვიდია: 13 იანვრის თარიღით გამოგზავნილი თავრიდის სასახლიდან სახალხო კომისარების მიერ:

„ბოროტმოქმედებით აღსავსე რუმინიის ოლიგარხიამ რუსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საომარი მოქმედება დაიწყო. რუმინიის ანარქია შეჩვეულია თავის ბატონობის განმტკიცებას, რუმინელი გლეხების და მუშების სილატაკეზე და მონობაზე და ეხლა სცადა თავისი მემამულეების და ბანკირების გადარჩენა ეს უკანასკნელი რუსეთის რევოლიუციის საწინააღმდეგო მოქმედებით. რუმინიის სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებას საზღვარი არ აქვს. რუსეთის რევოლიუციონური ჯარის კომისარებსა და წარმომადგენლებს ატუსაღებენ და ხვრეტენ. რევოლიუციონურ ჯარს იარაღს ართმევენ და შიმშილით კლავენ; უკან დახევის დროს ზარბაზნებიდან ესვრიან. ყველა ამ ბოროტმოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რუმინიის ფრონტის მთავარ-სარდალს შჩერბაჩევს. პროტესტის ნიშნათ სახალხო კომისარების საბჭომ რუმინიის ელჩი დროებით დაატყვევა. ხოლო ამ ზომამ არავითარი გავლენა არ იქონია: ბოროტმოქმედება თავისი გზით ვითარდება. ამის გამო სახალხო კომისარების საბჭომ დაადგინა:

1. დიპლომატიური ურთიერთობა რუმინიასთან შეწყვეტილია. რუმინიის ელჩები და ყველა აგენტები დაუყოვნებლივ გაიგზავნოს საზღვარ-გარეთ.

2. მოსკოვში შენახული ოქროს ფონდი რუმინიას ეკუთვნის, ხელშეუხლელი იქნება რუმინიის ოლიგარხიისათვის, საბჭოს მთავრობა თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას, რომ შეინახოს ეს ფონდი და გადასცეს რუმინიის ხალხს.

3. რევოლიუციის წინააღმდეგ აჯანყებული რუმინიის ფრონტის მთავარ-სარდალი შჩერბაჩევი გამოცხადებულია კანონს გარეშე“.

**გენ. შჩერბაჩევი**, რუმინიის ფრონტის მთავარ-სარდალი შჩერბაჩევი, რომელიც სახალხო კომისარების საბჭოს დეკრეტის ძალით კანონს გარეშე იყო გამოცხადებული, მიისწრაფოდა რა განსაცდელში მყოფ რუმინიის მეფის გადასარჩენად, გზაზე ბალშევიკ ჯარისკაცებმა მოჰკლეს.

# პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

ქ. ზ უ გ დ ი დ ი. 21 დეკემბერს 1917 წელს აქ მოხდა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც მოწვეული იყო სამაზრო ერობის შემოღების საკითხის განსახილველათ. სხდომას დაესწრო თითქმის ყველა წევრები პრეზიდიუმისა. წესრიგში მხოლოთ და მხოლოთ იყო ერობის ფუნქციების გაცნობა და პარტიათა შორის შეთანხმება არჩევნებში მოხსენება გააკეთა საგუბერნიო ერობისაგან გამოგზავნილმა ინსტრუქტორმა შოთა დადიანმა. მან განაცხადა: „თუ მოხდება პარტიათა შორის შეთანხმება, როგორც სხვაგან, სასურველი იქნებაო“. ამის გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგ კრება გადაიდო მეორე დღისთ., რომ ყველა აქ არსებული პარტიები ორგანიზაციებს მიეღოთ მონაწილეობა. ჩვენმა ორგანიზაციამ დაადგინა: რაკი ხდება სხვა მაზრებში პარტიათა შორის შეთანხმება, 38 ხმოსნებში. 19 მენშევიკებს, 5 ჩვენს, 5 ესერებს, 5 ფედერალისტებს და 4 ნაციონალ-დემოკრატებს. ვინიცობაა, თუ სხვა პარტიებმა ამას ანგარიში არ გაუწიეს, იმ შემთხვევაში ჩვენ სულ არ ვღებულობთ მონაწილეობას. ეს დადგენილება ქონდა ჩვენ წარმომადგენელს განეცხადებია პრეზიდიუმის სხდომაზე. მეორე დღეს საათის რვაზე სხდომა გახსნა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ქედიამ. მენშევიკების სახელით გამოვიდა ალექსანდრე ჩიქავა, ესერების, მიხეილ ბერულავა, ფედერალისტების მიხეილ მდივანი, ბალშევიკების ამხ. ქვანია და ნაც. დემოკრატების კვარანცხელია, რომლებმაც გააკეთეს მოკლე მოხსენებები თავიანთი ორგანიზაციების დადგენილების. აქ ყველაზე მეტი ჯინიანობა გამოიჩინეს მენშევიკებმა, მხოლოთ გადაჭარბებულათ ნაც. დემოკრატებმა, იქნა ერთი ხონური ბაზარი, გახმობა-გამოხმობა, ვაჭრობა, ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენელმა, როგორც ვაჭრების წარმომადგენელმა, აქაც გამოიჩინა ჩარჩობა. ჯერ თქვა ათი, მერე ცხრა, ექვსამდე ჩამობრძანდა. მხოლოთ მათდა საუბედუროთ არც ის გაუვიდათ, დიდი შეხლა შემოხლის შემდეგ სხვა პარტიები დაადგნენ შემდეგს. 21 მენშ. 5 ბალშევიკებს, 6 ესერებს 6 ფედერ. რაკი ნაციონალ-დემოკრატები არ დასჯერდნენ, თანახმათ ჩვენი ორგანიზაციის დადგენილებისა, სხვა პარტიებმაც იცნეს საჭიროთ, ცალკე სიით გამოვიდნენ.

**ზუგდიდელი ისაკო.**

ჩვენ შეცდომათ მიგვაჩნია ზუგდიდის ამხანაგების გადაწყვეტილება ნაციონალისტურ პარტიებთან შეთანხმების შესახებ. დამოუკიდებლათ გამოსვლა, ჩვენი პროგრამის სავსებით გაშუქება, მკაცრი კრიტიკა მოწინააღმდეგე პარტიების მოქმედებისა—აი რა გვევალება ჩვენ ყოველგვარ არჩევნებში. ეს უმთავრესია. კანდიდატების ამა თუ იმ რიცხვის გაყვანა მეორე ხარისხოვანი კითხვაა, რასაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეწიროს მსხვერპლათ ჩვენი კლასობრივი და პარტიული დამოუკიდებლობა, არავითარი შეთანხმება სხვა პარტიებთან, ბრძოლა მედგარი მათ წინააღმდეგ ყველგან და სხვათა შორის არჩევნებშიაც,—აი ჩვენი პოზიცია. **რედ.**

---

19 იანვარს 1918 წ. 1 რაიონული კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. (მეუმრავლესეთა) იწვევს რაიონული კომიტეტის წევრების კრებას. რისთვისაც ვსთხოვ ამხანაგებს გამოცხადდენ საღამოს 5 საათზე ბიუროში ჩერკეზოვის ქუჩა № 135 გთხოვთ არ დაიგვიანოთ.

---

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

21 იანვარს შედგება მთელი გუბერნიის ბალშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია. დაწვრილებითი ცნობებისათვის ამხ, ვთხოვთ მიმართონ ვორონცოვის ქუჩაზე „ლამპარში“ კანდელაკს.

---

თფილისის კულტურ-ტეხნიკური სასწავლებლის მოწაფეთა კომიტეტის აღმასრულებელი კომისია აცხადებს სასწავლებლის მოსწავლეთა საყურადღებოთ, რომ მეცადინეობა ამ სასწავლებელში დაიწყება 20 იანვრიდან.